

- შევიდეს ცვლილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (26/22/2012) დადგენილებაში „ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ“ და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებაში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდეს ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია.
2. კონფერენცია ჩატარდეს ყოველი წლის შემოდგომის სემესტრის ძირითად და დამატებით გამოცდებს შორის.
3. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნეს გასულ კალენდარულ წელს მიღებული სამეცნიერო შედეგები.
4. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა რეკომენდირებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვინც სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს ასრულებს. მონაწილეობა – მოხსენება, სავალდებულოა იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომლებიც მაღალ სახელფასო კატეგორიაში არიან.
5. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ ფაკულტეტის სამივე საფეხური სტუდენტებს. სტუდენტური მოხსენებები წარმოდგენილი იქნას პერსონალი მოხსენებებთან ერთად შესაბამის თემატურ სესიებზე.
6. თითოეული დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული სტუდენტისთვის დაწესდეს „დეკანის პრიზი საუკეთესო მოხსენებისთვის“ 600 ლარის ოდენობით დაქვითვის გარეშე.
7. დოქტორანტს კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენება შეიძლება ჩაეთვალოს სასწავლო ან კვლევით კომპონენტად და მიენიჭოს შესაბამისი კრედიტი თსუ

დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. ამ შემთხვევაში დოქტორანტმა კონფერენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურში წარმოადგინოს ნაბეჭდი ნაშრომი,

რომელიც მოიცავს:

- სატიტულო გვერდს და სარჩევს
- ლიტერატურულ მიმოხილვას
- კვლევის მიზანს და ამოცანებს
- კვლევის მეთოდიკას
- მიღებულ სამეცნიერო შედეგებს
- დასკვნებს
- გამოყენებულ ლიტერატურას

8. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელ მეცნიერებს

9. კონფერენციას შედეგები თვითშეფასების სახით განხილული იქნეს ფაკულტეტის საბჭოზე.

10. შეიქმნას კონფერენციას საორგანიზაციო კომიტეტი.

11. დაევალოს საორგანიზაციო კომიტეტს კონფერენციის პროგრამის ფორმირება.

- მეხუთე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჩატარდეს 2017 წლის 7-10 თებერვალს.

- შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით

1. ასოცირებული პროფესორი - რამაზ ხომერიკი (თავმჯდომარე)
2. ასოცირებული პროფესორი - თამარ ჭელიძე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. დოქტორი რუსუდან ინწკირველი - (აღმასრულებელი მდივანი)
4. ასოცირებული პროფესორი - ალექსანდრე თევზაძე
5. ასოცირებული პროფესორი - ირინა მოდებაძე
6. ასოცირებული პროფესორი - ვაჟა ტრაპაძე
7. ასისტენტ პროფესორი - მარიამ ახალკაციშვილი
8. ასოცირებული პროფესორი - ნათელა არჩვაძე
9. ასოცირებული პროფესორი - მაგდა ცინცაძე
10. ასოცირებული პროფესორი - თენგიზ კოპალიანი
11. ასოცირებული პროფესორი - ზალ მაჭავარიანი
12. ასოცირებული პროფესორი - გიორგი ბეზარაშვილი
13. ასისტენტ პროფესორი - ცისმარი გავაშელი.